№ 220

კვირა, 16 ოკტომბერი 1894

1877—1894

# ივერია

№ 220

კვირა, 16 ოკტომბერი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 19 ოკტომბერს.**

## „ივერია“

გამოდის 1894 წელს

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

**ტფილისი,**

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,

სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

---

ამა ოქტომბრის 13 რიცხვიდგან, **ყოველდღე, დილის 9 საათზედ,** ექსარხოსის წმ. ჯვარის ეკკლესიაში მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის მიერ **გარდახდილი იქმნება პარაკლისი მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის, ხელმწიფე იმპერატორის განკურნების სავედრებლად.**

(3—უ.—3)

---

**გამგეობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა** ამით აცხადებს, რომ 18 ამ ოქტომბერს, ნაშუადღევის 2 საათზედ, ბანკის სადგურში, გარდახდილ იქმნება სავედრებელი პარაკლისი ხელმწიფე იმპერატორის განკურნებისა და სიმრთელისათვის.

(1—6 - 1)

---

**მისაღები ეგზამენები**

ტფილისის საბალოსნო სასწავლებელში

დანიშნულია 5 გიორგობისთვეს ამა წლისას.

(3—1787—1)

---

### ტფილისი, 14 ოქტომბერი

როდესაც რომელსამე საზოგადო მოღვაწეს უბედურება რამ შეემთხვევა ხოლმე, საზოგადოების მოვალეობაა ასეთს განსაცდელში ჩავარდნილს მოღვაწეს დაეხმაროს და ისევ ფეხზე დააყენოს. სადაც ამ გვარი აზრი არ ჰსუფევს, იქ საზოგადო მოღვაწისთვის ასპარეზიც არ არსებობს და მეცადინეობა თითოეულის კაცისა ქვეყნის სასამსახუროდ, უეჭველია, უნაყოფოდ ჩაივლის.

მაგრამ ჩვენს ხალხს ყოველთვის სცოდნია თავისის მოღვაწეების დაფასება და ამ თვისებას იგი არ არის მოკლებული ახლაც. მართალია, საზოგადო მოღვაწეობა—მწერლობა იქნება იგი, პედაგოგია, თეატრი, თუ სხვა რამ ამ გვარი—ცუდად ჯილდოვდება დღეს ჩვენში, მაგრამ, სამაგიეროდ, თანაგრძნობა და დაფასება ხალხში ამ ხელობის კაცთა დიდი აქვთ.

ამ მოსაზრების ძალით იმედი გვაქვს, რომ ქართველი საზოგადოება, როგორც იმიერი, აგრეთვე ამიერი, თანაგრძნობას აღმოუჩენს ჩვენის თეატრის არტისტს კოტე მესხს, რომელმაც თავისის სულისა და გულის გარდა, მთელი თავისი ქონება, ქართულს თეატრს შესწირა.

15 წელიწადია, რაც ბ-ნი მესხი პირველად გამოვიდა თეატრის მოედანზედ და მას აქეთ ეს მხნე და ერთგული მშრომელი ქართულის სცენისა სულ იმასა სცდილობდა, რომ სცენა ისეთს მდგომარეობაში ჩაეყენებინა, როგორიც შეჰფერის ამ დაწესებულებას ჭეშმარიტად. ამისთვის კოტე მესხი ჰმეცადინეობდა გაეჩინა ქართული რეპერტუარი, სთარგმნიდა და სწერდა თითონ პიესებს, რომელსაც საზოგადოება კარგად იცნობს, თამაშობდა სცენაზედ, ადგენდა მუდმივ დასს, იძენდა თეატრისთვის საჭირო ნივთებს და საგნებს, და სხ. უკანასკნელად იშოვნა თეატრიც ქუთაისის ქალაქისაგან, სადაც გაჰმართა წარმოდგენები.

საქმეც რიგიანად მიდიოდა მაგრამ ერთის უბრალო შემთხვევის წყალობით ყოველი ესე, ამდენის ხნის ღვაწლი გონებრივი და ნივთივრი თავდადებულის არტისტისა, ერთს წამს ფერფლად იქცა—13 ამ თვეს ცეცხლმა შთანთქა ქუთაისის ქართული თეატრიც და ისიც, რაც ამ თეატრისათვის საჭირო რამ ნივთები და საგნები მოეპოვებინა ხანგრძლივის მეცადინეობის შემდეგ საბრალო არტისტს.

ამ სახით დღეს ქუთაისის თეატრი მოისპო! აღარ არის, არც შენობა, არც ყოველი ის, რაც თეატრის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს. იქნება ერთად ამასთან დასუსტდა და განქრა ენერგიაც ამ საქმის სულის ჩამდგმელისა არტისტის მესხისა, რადგანაც საზოგადოდ არტისტი ერთობ მგრძნობელი და შთაბეჭდილების მონაა!

აი, სწორედ ამ შემთხვევაში არის საჭირო გამხნევება საზოგადო მოღვაწისა და დახმარება, არა პირადად კაცისა, არამედ საქმისა, რომელიც ქვეყნის გონებისა და ზნეობის განვითარებისათვის საუკეთესო სახსარია.

ყაბარდოში ერთი ჩინებული ჩვეულება აქვთ იქაურ ჩერქეზებს. მაგალითებრ, რომელსამე მოსახლეს რომ ასი, ან ათასი სული ცხენის ჯოგი გაუწყდეს, მეორე თვეში ნახავთ, დაზარალებულს კაცს ორი იმდენი ცხენის ჯოგი გაუჩნდება. თითოეულს ჩერქეზს უწმიდესს მოვალეობად მიაჩნია დაეხმაროს დაზიანებულს თანამემამულეს და, ამიტომ იქ შემთხვევისაგან გაღარიბებული დაგაუბედურებული კაცი არ მოიპოვება.

ამ გვარი ჩვეულება დახმარებისა წინად ჩვენშიც იყო, არა თუ საზოგადო მოღვაწის, არამედ კერძო კაცის შესახებ. მაშ დღეს, როდესაც ჩვენს თანამოძმეს, მეტადრე ისეთს თანამოძმეს, რომელსაც მთელი თავისი ღონე და საშუალება საზოგადო საქმის ერთგულებისათვის შეუწირავს, უეჭველია ქართველი საზოგადოება თანაგრძნობით მოეკიდება და დაეხმარება, ვისაც რა რიგად და როგორც მოეხერხება.

მეველე

---

## დეპეშა

### 14 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** ბიულეტენი 14 ოქტომბერს დილის 11 საათზედ: ღამე ხელმწიფე იმპერატორს კარგად ეძინა, მადა კარგი აქვს, ძილი არ ერევა, სხეულის ხუთვა არ ეტყობა, ფეხების სიმსივნე ცოტა მოემატა.

**იერუსალიმი.** „ყოველ დღე წმიდა ადგილებში მხურვალე ლოცვით ვევედრებით უფალს ხელმწიფე იმპერატორის განკურნებისათვის; გუშინ ცხოველ-მყოფელის საფლავის წინაშე, წირვის შემდეგ, დიდის მჭმუნვარებითა და გულის ტკივილით უწმიდესს სინოდსა და კრებულთან ერთად პარაკლისი გარდავიხადეთ“. იერუსალიმის პატრიარქი გერასიმე.

### 15 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** ბიულეტენი 14 ოქტომბერს საღამოს 7 საათზედ: ამ დღეს ხელმწიფე იმპერატორს მადა კარგი ჰქონდა, მაგრამ ცოტაოდენ სისუსტეს ჰგრძნობდა; დანარჩენში არავითარი ცვლილება არა ეტყობარა.

**პეტერბურგი.** ბიულეტენი 15 ოქტომბრისა, 10 საათის დილისა. წუხელის ხელმწიფე იმპერატორს გვარიან კარგად ეძინა. მადა კარგი აქვს, გუშინდელი სისუსტე აღარ ეტყობა, დანარჩენში ცვლილება არ არის.

**ბერლინი.** გრაფმა კაპრივიმ დღეს ნაშუადღევს მიართვა იმპერატორს არზა სამსახურიდან განთავისუფლებისა. არზა იმპერატორმა მიიღო.

---

## ფელეტონი

### ტოლსტოის მოძღვრება ინგლისში.

უეჭველია, ტოლსტოის მოძღვრება მთელ დედამიწის ზურგზედ ისე არსად არის მიღებული, როგორც ინგლისში. მისი უკანასკნელი თხზულება „სასუფეველი უფლისა“ პირველად საზღვარ-გარედ დაიბეჭდა (ლონდონში) და ერთსა და იმავე დროს ორმა ფირმამ გამოსცა. ამ ქამად ერთმა ფირმამ დაჰბეჭდა ამ წიგნის მეორე, იაფ-ფასიანი გამოცემა და ორმავე ფირმამ აქამდე უკვე გაჰყიდა 8,000 ცალი. ეს რიცხვი, რა თქმა უნდა, მეტად დიდია და ტოლსტოის არც ერთი თხზულება, ლონდონში დაბეჭდილი, ასე კარგად არ გაყიდულა. მაგრამ, ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ტოლსტოის მოძღვრების გავრცელება ინგლისში მარტო ამ წიგნის გაყიდვით არა მტკიცდება. ეს მტკიცდება კიდევ იმითი, რომ ეხლა მთელს ინგლისში მეტად ხშირად ახსენებენ ტოლსტოის სახელს, ხშირად მოჰყავთ ხოლმე სიტყვები მისის თხზულებებიდგან, იმეორებენ ამ სიტყვებს ლაპარაკში, კრებებზედ, წიგნებში, წერილებში და საზოგადოდ ყველგან, სადაც-კი ლაპარაკი ჩამოვარდება სოციალურ საქმის და ზნეობის შესახებ. ეს იმითი აიხსნება, რომ ინგლისი ჩინებულად არის მომზადებული ლ. ტოლსტოის აზრების მისაღებად. ინგლისი სამშობლოა „კვაკერებისა“, კარლეილისა, რესკინისა და სხვათა, რომელნიც სცდილობდნენ უწინდელ ქრისტიანობის აღდგენას და კაცთა შორის ძმობა-ერთობისა და სიყვარულის დამყარებას. ასეთი ქადაგება გაისმოდა ინგლისში რამდენისამე საუკუნის განმავლობაში და ამიტომ ტოლსტოის სიტყვები, რა თქმა უნდა, ვერავის ვერ შეაშინებდა თავისის სიახლით ან რადიკალიზმით. პირიქით, ტოლსტოის სიტყვებს ისე მიეგებნენ ინგლისში, როგორც უკვე ძველსა და ცნობილს მოძღვრებას.

რამდენად ეთანხმება ინგლისელების რწმენას ტოლსტოის მოძღვრება, ამას ის გარემოება ამტკიცებს, რომ ამ ხანებში დაიბეჭდა სამი წიგნი ერთისა და იმავე ავტორის—ჯონ კენვორტისა, რომლის შესახებაც ერთმა ინგლისურმა გაზეთმა სთქვა: „ჩვენი ტოლსტოი არისო“. ჯონ კენვორტი 32—33 წლისაა. დაიბადა ლივერპულში, 1892 წლამდე კარგი თანამდებობა ჰქონდა ერთს ხორცის გამყიდველს ფირმაში, რომლის ვაჭრობა ამერიკაში სწარმოებდა, სადაც ჯონ კევორტი დიდხანს სცხოვრობდა და ბევრს ჰმოგზაურობდა. იგი ერთსა და იმავე დროს სამსახურსაც ასრულებდა, ბევრს ჰფიქრობდა, კითხულობდა, აკვირდებოდა ცხოვრებას. რამდენიმე წიგნიც დაჰბეჭდა თავისს ლექსთა კრებულისა და კრიტიკამ მოიწონა კიდეც ეს ლექსები. მაგრამ ვერც სახელმა პოეტისამ, ვერც ვაჭრის მოგებამ ვერ დააკმაყოფილა მისი გული და ამ წლისა და ნახევრის წინად თავი დაანება თავისს საქმეს და თანამდებობას და შეუდგა საზოგადოების სამსახურს. დასახლდა ლონდონის ერთს მიყრუებულსა და ღარიბს უბანში და მიჰმართა ყოველ გვარ ღონისძიებას, რათა როგორმე დაჰხმარებოდა ერის ნივთიერსა და ზნეობრივს განვითარებას: კითხულობდა ლექციებს, აარსებდა საკოოპერაციო საზოგადოებას, ჰკრებდა ფულებს გაფიცვის დროს უსაქმოდ დარჩენილ მუშებისათვის და სხვ. მის მიერ გამოცემულ წიგნებს ეწოდება: „The Christian Revolt“ (ქრისტიანობის რევოლიუცია), „The Anatomy of Misery“ (გამოკვლევა სიღარიბისა) და „From Roudage to Brotherhood“ (მონობისაგან ძმობისაკენ): პირველი წიგნი კრებულია სხვა-და-სხვა დროს დაწერილ წერილებისა და მთლიანს არაფერს წარმოადგენს. ხოლო დანარჩენი ორი წიგნი წარმოადგენს სისტემატიურს მოძღვრებას. „გამოკვლევა სიღარიბისა“ მშვენიერი აღწერაა საეკონომიო თეორიისა, რომელიც დამყარებულია კარლ მარქსისა, კარლეილისა, ჰენრი ჯორჯისა და უფრო ჯონ რესკინის თხზულებებზედ. სულ 75—80 გვერდზედ მოთავსებულია მთელი გამოკვლევა საეკონომიო მოვლენათა, თუმცა, რა თქმა უნდა, ავტორი იძულებულ იყო გამოეტოვებინა მრავალი წვრილმანი და ამიტომ თხზულებას მიეცა დოგმატიური ხასიათი. განმარტავს რა ავტორი ამ წიგნისა თავისს საპოლიტიკო-საეკონომიო მოძღვრებას, ამტკიცებს, რომ აწინდელი წეს-რიგი საზოგაოდოებრივის ცხოვრებისა დამყარებულია გამოუსადეგ საფუძველზედ, და რომ ამ უბედურებას არა ეშველება-რა არც რევოლიუციებით და არც საპარლამენტო აქ[illegible]ებითა—ბოლოს ჰკითხულობს: «მაშ რა გვეშველება? რა უნდა ვქნათ?» და ამ საკითხავზედ თითონვე იძლევა პასუხს: „ეჭვი არ არის, რომ თქვენ თითონვე შეგიძლიანთ ცოტაოდენის საქმის გაკეთება, ესე იგი თქვენისავე თავის გასწორება. ერთად ერთი ხსნა ის არის, რომ სახარების მცნებას დაუბრუნდეთ და ერთად ერთი კაცი, რომლის გასწორებაც შეგიძლიანთ, მხოლოდ თქვენ ხართ. თქვენის სა-

# ახალი ამბავი

*** რადგან ტფილისში მარტო რიყეზედ და კუკიაში გაჩნდა ხოლერა, ტფილისის გუბერნატორმა თავ. შარვაშიძემ საგანგებო კომისია შეადგინა საგუბერნიო ექიმის ქიქოძეს თავმჯდომარეობით. ამ კომისიამ გუშინ დაათვალიერა ის სახლები, რომელშიაც ხოლერით ავადმყოფები იყვნენ და აღმოაჩინა, სხვათა შორის, რომ ამ სადგომებს დეზინფექციის დროზედ არ უკეთებენო.

*** დღეს 16 ოქტომბერს ნაშუადღევის 2 საათზედ დიდუბის მოედანზედ დოღი იქნება გამართული.

*** გუშინ გუბერნატორმა განკარგულება მიიღო, რომ ციმბირში გასაგზავნი ტუსაღები ტფილისში დასტოვეთ გაზაფხულამდე, რადგანაც მდ. ვოლგა ყინულმა შეჰკრა და ხომალდები ვეღარ დადიანო.

*** გუშინ მიხეილის საავადმყოფოში კიდევ ერთი ხოლერით ავადმყოფი მიიყვანეს რიყიდგან.

*** გუშინ, 15 ოქტომბერს, ქალაქის სამხედრო ბეგარის საკრებულოში ქალაქის მოურავის იზმაილოვის თავმჯდომარეობით დაიწყო ჯარში გასაწვევთა კენჭის ყრა. დილის ცხრა საათზედ ბ-მა იზმაილოვმა შეკრებულ ახალგაზდა ყმაწვილ კაცთ გამოუცხადა რამდენიმე მუხლი სამხედრო წესდებისა და ურჩია, ვისი გვარიც სიაში არ არის მოქცეული, ეხლავე გამოცხადეთ, თორემ მერე უკენჭისყროდ გახვალთ ჯარშიო. სიაში სულ 520 ყმაწვილი კაცია მოქცეული, რომელნიც 1872 წ. 1873 წლის ოქტომბრამდე დაბადებულან. ნაშუადღევის პირველ საათზე საკრებულოში დაიწყეს კენჭის ყრა, რომელიც საღამომდე გასტანს.

*** მეორე ნაწილის პოლიციის ბოქაულმა ნაცვლიშვილმა მიჰმართა და სთხოვა ქალაქის გამგეობას, ტეხნიკოსი დანიშნეთ გამოიკვლიოს, რა ეღირება ჩემს განყოფილებაში ყოველ ქუჩაზედ ტროტუარების გამართვაო.

*** ტფილისის გუბერნატორი თავ. შარვაშიძე გუშინ ბორჯომიდგან ტფილისს დაბრუნდა.

*** როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, კორშის მკვლელის იოაკიმე გარშენინის საკასაციო საჩივარი ოლქის სამხედრო სასამართლოს განაჩენის გამო უმაღლესმა სამხედრო სასამართლომ არ შეიწყნარა. ეხლა ეს ოლქის სამხედრო სასამართლოს განაჩენი, ვიდრე აღასრულებდნენ, კავკასიის მთავარ-მართებელს წარედგინება მისდა განსახილველად.

*** საბჭოს მხრივ საგუბერნიო საქალაქო საქმეთა საკრებულოს წევრის თანამდებობაზედ, ქუთაისის ახალს საბჭოს ორს ხმოსანს უყარეს კენჭი: თ. პ. ა. თუმანიშვილს, საურთიერთო დახმარების საზოგადოების თავმჯდომარეს, და ნ-ფიცს ვექილს ქიქოძეს. ორთავეს თანაბარი კენჭი ერგოთ. ეს არჩევანი, გაზეთ «ნოვ. ობოზ.»-ს სიტყვით, ბ-ნს შინაგან საქმეთა მინისტრს წარედგინა განსახილველად.

*** სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებამ განკარგულება მოახდინა, რომ რაც შეიძლება ბევრი დაიბეჭდოს ბანკებთან დაარსებულ შემნახველ კასსების განცხადება, რომელშიაც აღნიშნულია ამ კასსაში ფულის შეტანისა და გამოტანის წესები და ხალხში დაარიგოს, მეტადრე მუშებსა და ხელოსნებს შორის. ეს განცხადებანი ბანკებსა და მთელს გუბერნიის მაზრის უფროსებს დაეგზავნათ.

ამ განცხადებებში, სხვათა შორის ბანკი საყოველთაოდ აცხადებს, რომ უმაღლესის ბრძანების ძალით, 1894 წ. პირველ აგვისტოდგან კასსაში შეტანილს ფულში, 4% მაგიერ, როგორც აქამდის იყო გარდაწყვეტილი, 3, 6% მიეცემა ფულის პატრონთ წელიწადშიო.

სამწუხაროდ, ეს განცხადება მხოლოდ რუსულს ენაზედ არის დაბეჭდილი და ადგილობრივი მკვიდრი ვერას გაიგებს, თუნდა მიიდოს კიდეც. ვგონებ, ძნელი არ იქმნებოდა, რომ გადაეთარგმნინებინათ და ისე დაერიგებინათ.

*** ს. მარტყოფი. 13 ოქტომბერს მარტყოფის ხელთუქნელის ტაძარში გარდახდილ იქმნა მუხლმოდრეკით პარაკლისი მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ავადმყოფობისაგან განსაკურნებლად. ტაძარი სავსე იყო ხალხით, სხვათა შორის დაესწრნენ ამ პარაკლისს ორივე სასწავლებლის მოსწავლენი თავისის მასწავლებლებით.

*** ქუთაისი. როგორც იყო, დიდი ხნის ლოდინს შემდეგ, აღგვისრულდა სურვილი და ვეღირსეთ ქალაქის სამკითხველოს გამართვას. სამკითხველოში ყველას განურჩევლად შეუძლია შევიდეს და ჟურნალ-გაზეთები იკითხოს, მხოლოდ თუ შინ წაიღებენ წიგნს მაშინ-კი უნდა გადაიხადონ ცოტა რამე. მხოლოდ ეს-კი უნდა ვსთქვათ, რომ ხალხი ძალიან ნაკლებად დადის, ვინც დადის, ზოგიერთი მათგანი სამკითხველოში ლაპარაკობენ ხმა მაღლა და უშლიან სხვა მკითხველებს, თუმცა ლაპარაკი სამკითხველოში, სამკითხველოს წესდების ძალით, სასტიკად აღკრძალულია.

*** იქიდამვე. აქ თითქმის ყოველ კვირას იმართება „საცეკვაო საღამო“ ანუ „არიფანა“. გარდა იმისა, რომ ცუდ-უბრალოდ ჰკარგვენ დროსა მეარიფანე-მოცეკვავნი, ხშირად უბედურებასაც მოახდენენ ხოლმე. მაგალითად, ამ ერთის კვირის წინად, როცა თამაშობით დაქანცულ-დაღალულნი „მეარიფანენი“ ვახშამს ჩაუსხდნენ, ჩხუბი მოუვიდათ ალექსანდრე ყიფიანს და მიხაკო ნადირაძეს. ყიფიანმა ნადირაძე ხანჯლით დასჭრა და საბრალო უკანასკნელს დღეშია.

დასასრულ უნდა მოგახსენოთ, მთელი ქუთაისი რომ დაიაროთ ერთ პოლიციელსაც ვერ შეხვდებით. ისინი ან დუქნში სადმე ქეიფობენ და ან სძინავთ. ხშირად შეხვდებით აქ ზურნა არღანზედ მოქეიფე პოლიციელებს.

*** 13 ოქტომბერს მკურნალმა ივანე ლებედევმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ელისაბედის ქუჩაზედ გენერალ-მაიორის ქვრივის მადათოვის სახლის აივნიდგან 178 მან. ნივთეული მომპარესო.

*** ამავე დღეს ვარანცოვის ქუჩაზედ ტფილისის მცხოვრებლის სარქის ტერტეროვის შვიდის წლის ქალი სირანუშა მომავალ აქლემით შეშინებული გამობრუნების დროს ეტლს ქვეშ ჩავარდა. ეტლმა ფეხებზედ გადაუარა და მსუბუქად დააშავა.

*** 14 ოქტომბერს ძველს ბებუთოვის ქუჩაზედ თხრილში იპოვნეს მკვდარი სოფ. ჭალის მცხოვრებელი 70 წლის მარიამ თუშავაძისა. თუშავაძისა ბებუთოვის სახლში სცხოვრობდა თავისს შვილით.

*** 11 ოქტომბერს ანდრეევის ქუჩაზე თვენახევრის დაბადებული მიგდებული ბავშვი იპოვნეს. ბავშვი აღსაზრდელად აიყვანეს ელენე შესტაკოვისამ და პეტრე შესტაკოვმა.

## დამაკვირდი

ნიჭს ბუნება აძლევს ადამიანს, ხოლო ცხოვრებაში გამარჯვებას—ბედი.

ლაროშფუკო.

**

უნაყოფო ხეს ქვას არ ესვრიან.

სადი.

**

ვისაც მეტის გაგება აქვს, მეტი შებრალებაც აქვს.

იტალ. ანდაზა.

## ქუთაისის თეატრის დაწვა

წუხელის, რეპეტიციის დროს, დაიწვა ქუთაისის თეატრის შენობა... დაიწვა ეს ტურფა და ხელის-ხელ საგოგმანებელი ნიმუში ხუროთ მოძღვრებისა, რომელიც აგებული იყო მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფისა და დედოფლის მისადგებად, და მასთან ლაილუპნენ და დაიწვნენ ბ-ნნი მესხი და გამრეკელი, რომელთაც მამასისხლად ნავალები, დღემდის ნახევრად გადაუხდელის ფულებით მოაწყეს ეს შენობა თეატრისათვის. განა მარტო ბ-ნნი მესხი და გამრეკელი დაიწვნენ? არა, მათთან ერთად დაიწვა მთელი ოჯახობა ბ-ნ მესხისა, რომელიც მხოლოდ ამ თეატრს შეჰყურებდა და იმითი ისაზრდოებდა თავს. ამ ნაირად დასრულდა ქუთაისის საზოგადოების ჯიუტი გულ-გრილობა საკუთარის სცენის მიმართ...

მართალია, ასკინკილათ ჩამოვლა იმ დროს, როცა კუჭი სიმშილით იწვის, მხოლოდ კალიას და მის გვარ სულიერებს შეშვენით, მაგრამ არც ის არის ადამიანის საქებარი ღირსება, რომ მხოლოდ მუცლისთვის იზრუნოს და არავითარი სულიერი მოთხოვნილება არ გამოიჩინოს. ამ სულიერ მოთხოვნილებაში დიდი ადგილი უჭირავს ყოველ გვარს ხელოვნებას და მათ შორის თეატრს, სცენას. ჩვენის სცენისათვის-კი ბ-ნი კ. მესხი და მთელი მისი ოჯახობა, ნიჭის გარდა, რომლის დაფასება აქ უადგილოა, სწორედ რომ დაუფასებელი და შეუდარებელი მუშაკი და მოღვაწეა. თუ ეს მართალია, მაშ რა გვმართებს ეხლა?

ერთი უმთავრესი ნიშანი ხალხის თვით-შეგნებისა, ნათესაობითის გრძნობის გამოაშკარავებისა, სხვათა შორის, ის არის, რომ, როცა ამ ნაირი გაჭირვება ეწვევა საზოგადო მოღვაწეს, ხელოვნების მოსამსახურე, თვალ-საჩინო საზოგადო მიწვანეო არა თუ ჩვენისთანა ღარიბის ერისათვის, არამედ ბევრად უფრო განათლებულისა და განვითარებულის ერისთვისაც—ასეთს კაცს მთელი საზოგადოება ერთის სულითა და გულით უცხადებს ზნეობრივსა და ნივთიერს თანაგრძნობას. ამით გამაგრდება იგი, სულით არ დაეცემა, და ხელახლა მოიპოვებს ღონისძიებას განაგრძოს თვისი სასარგებლო საქმე.

ჩემის აზრით ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთად-ერთი საშუალებაა დახმარებისა, რომ არც ბ-ნ მესხის ღირსება დაამციროს, და ჩვენი საზოგადო ერის საკადრისიც იყოს. ბ-ნ კ. მესხმა თვისის ოჯახის წევრების დახმარებით უნდა გამართოს წარმოდგენები ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეში. ამ წარმოდგენების ყოველმა თანამგრძნობელმა ხელი უნდა შეუწყოს, როგორც გაზეთებში, ისე კერძოდ, რომ კარგი შემოსავალი ჰქონდეს. რადგან ერთიანად დაეწვა სასცენო ტანისამოსი, ამისათვის პირველად ტფილისში უნდა გამართოს თავის სასარგებლოდ, სამი თუ ოთხი წარმოდგენა. რეპერტუარი მესხს საკმაოდ აქვს, რომ რიგიანი წარმოდგენები გამართოს ტფილისში, მით უმეტეს, რომ იმედია არ დაამადლეს.

---

კუთარის ცხოვრებით სხვებს უნდა უჩვენოთ მაგალითი წმიდა ცხოვრებისა. ამ მაგალითითა და ქადაგებით შეგიძლიანთ სხვებიც მიიზიდოთ და ზნეობა გაუმჯობესოთ. მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ—იკითხავთ თქვენ—ნუ თუ მირჩევთ იმას, რომ უმაღლესს იდეალებსა და პრინციპებს უნდა მივსდევდე იმ საზოგადოების შორის, რომელიც სწორედ ამ იდეალებისა და პრინციპების წინააღმდეგ იქცევა? ასე რომ მოვიქცე, ხომ ჩემი თავი უნდა გავსწირო; ხომ ცხვრად უნდა გადვიქცე მგელთა შორის! ამის პასუხი სულ სხვა-და-სხვა იქმნება, იმის მიხედვით, როგორ გესმით თქვენ ადამიანის სიცოცხლის საგანი ღ დანიშნულება. საეკონომიო პრინციპები, როგორც ჩვენ უკვე განვმარტეთ, დამყარებული უნდა იყოს ზნეობის პრინციპებზედ. ჩვენი ზნეობა-კი დამოკიდებულია იმაზედ, როგორ გვესმის ჩვენ საიდუმლოება ჩვენის სიცოცხლისა, ე. ი., რა მოგველის სიკვდილის შემდეგ. ეს იმას ამტკიცებს, რომ საეკონომიო საქმე იგივეა, რაც სარწმუნოება.

ამ სიტყვებიდგანვე სჩანს, რამდენად ეთანხმება კენვორტის მოძღვრება ტოლსტოის მოძღვრებას. მესამე წიგნი კენვორტისა განმარტებს იმავე აზრს და გასაოცრადა ჰგავს ტოლსტოის წიგნს «სასუფეველი უფლისა». ამ წიგნის ზოგიერთი ადგილები თითქოს მთლად ამოწერილია ტოლსტოის წიგნიდგან, თუმცა ამ წიგნში მოთავსებული წერილები გაცილებით ადრე იბეჭდებოდა, ვიდრე ტოლსტოის წიგნი გამოვიდოდა. მაგრამ ეს მზგავსება ტოლსტოისა და ინგლისელის მოძღვრებათა მხოლოდ თეორიაში თუ არსებობს. საქმით-კი ინგლისელთა მოძღვრება განსხვავდება ტოლსტოის მოძღვრებისაგან. ტოლსტოის მოძღვრება არა თუ პირს არიდებს სახელმწიფოს და საზოგადოდ ძალ-დატანებას, არამედ პირს არიდებს აგრეთვე, ნებით თუ უნებურად, თვით საზოგადოების წეს-წყობილებასაც. მისთვის თვით განვითარება ჰნიშნავს მხოლოდ იმას, რომ კაცი წინ არ უნდა აღუდგეს ბოროტებას. ინგლისელთა მოძღვრება უფრო მომქმედია. მას თავისს გამარჯვებისათვის აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია მოქმედება და შეცვლა საზოგადოებრივის ცხოვრებისა. ტოლსტოის მოძღვრების მიმდევარი ინგლისელი ასე ამბობს: „მართალია ცხოვრება ჩვენი სრულიად არ ეთანხმება ქრისტეს მცნებას, თუმცა ვამბობთ, ქრისტეანები ვართო; მართლადა ძალდატანებით ვერაფერს ვერ გასწორებთ, უპირველეს ყოვლისა ვერ გასწორებთ თქვენსავე თავს. მაშ რა ვქნათ? მარტო ფიზიკურს შრომას რომ მივმართოთ, როგორც ტოლსტოის მომხრე რუსები იქცევიან, ამით საქმეს არა ეშველება-რა. საკუთარ სასოფლო-მეურნეობის გამართვა ყველას არ შეუძლიან. ამიტომ თქვენი შრომა უნებურად სხვას უნდა მიჰყიდოთ, როგორც საქონელი. თქვენთვის საჭირო ნივთებიც ისე უნდა იყიდოთ, როგორც საქონელი, და ამ გვარად, თქვენისავე შრომით, თქვენვე ხელს უწყობთ იმ საზოგადოებრივის ცხოვრების წეს-რიგს, რომელსაც თქვენვე ჰკიცხავთ. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ განმარტოებული პირადი შრომა, რომელიც იქმნება თვით იმისთვის სასარგებლო იყოს, სრულიად გამოუსადეგი და უაზროა საზოგადოების წარმატებისთვის. საჭიროა, ამიტომ, ისეთი წეს-წყობილება, რომელშიაც არც მყიდველი და არც გამყიდველი ხელს არ მოუმართავს სახარების წინააღმდეგს წეს-წყობილებას».

ასეთის წეს-წყობილების დაარსებისთვის ბევრსა ჰფიქრობდა მქადაგებელი ბრუს უოლლესი (ამ მქადაგებლისა და მის ეკკლესიის „Brotherhood“-ის შესახებ იხილე თებერვლის «Кн. Нед.»). ეს იდეალისტი ბევრსა ჰფიქრობდა საეკონომიო და ზნეობრივ იდეალების განხორციელებისთვის. ჩვეულებრივი საკოოპერაციო საზოგადოებანი იმას არ აკმაყოფილებდა. ამ საზოგადოებათა მიერ დივიდენდის გაცემა იმათ უბრალო სავაჭრო ამხანაგობათ ამზგავსებს. კომუნისტთა წესზედ დამყარებულმა ახალშენებმა და სოციალისტთა სხვა-და-სხვა ცდამა და მეცადინეობამ, რომელიც ყოველთვის ამაოდ ჩაივლიდა ხოლმე, ნათლად დაუმტკიცეს, რომ იმათ სახეში ანგელოზი-კი არ უნდა ჰყავდეთ, არამედ ადამიანი და მისი ყოველი ნაკლი და სისუსტე. ამ საქმის განხორციელების ფიქრის დროს ბრუს უოლლესმა გაიცნო ერთი მუშა კაცი, გვარად გოლიდეი, რომელმაც დიდი ხანია უკვე გადასწყვიტა თურმე ეს საქმე. გოლიდეის აზრით, საზოგადოების ცხოვრება ასე უნდა მოეწყოს: უნდა დაარსდეს კოოპერაცია, რომლის წევრთ არავითარი დივიდენდი არ მიეცემათ; აგრეთვე არ მიეცემათ არავითარი სარგებელი იმათ, ვინც ამ კოოპერაციისთვის ფულს შეიტანს. კოოპერაციის მთელი შემოსავალი უნდა მოჰხმარდეს თვით კოოპერაციის წარმატებასა და გაძლიერებას. კოოპერაციის წევრთ მხოლოდ ერთად-ერთი იმედი უნდა ჰქონდეთ, რომ სიბერის დროს, თუ 60 წლამდე ვიცოცხლე, პენსია მომეცემა, და თუ ავადმყოფობა მეწვია, დახმარებას აღმომიჩენენო. ჯერ პატარა საქმიდგან უნდა დავიწყოთო, უთქვამს გოლიდეის, მაგალითად, კოოპერაციის წევრთ ჯერ უნდა მიეცეთ პური, შემდეგ ტანთ-საცმელი, მერე ფეხ-

ბენ მისი ტფილისელი მოძმენი თანაუგრძნობენ, და მიიღებენ მონაწილეობას ამ წარმოდგენებში. შემდეგ იგი სასცენო ტანისამოსსაც შეიძენს და რიგ-რიგად დაივლის ყველა ჩვენ ქალაქა და დაბებს: გორს, ბათუმს, ფოთს, ოზურგეთს, სენაკს, ზუგდიდს, თელავს, სიღნაღს და ბოლოს მოვა ქუთაისში. მანამდე ძველი თეატრი, რომელიც ეხლა პოლიციის სადგურად არის დროებით გადაქმნილი, განთავისუფლდება და აქაც გამართავს ამავე აზრით წარმოდგენებს.

იმედია, რომ ქუთაისის საბჭოც უწილადებს ცოტა რასმეს, იმ ფულიდგან, რომელსაც იგი მიიღებს დამზღვეველ საზოგაოებისაგან დამწვარ შენობისას. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ შენობა ქალაქს ეკუთვნოდა და დაზღვეული იყო 8000 მან. მხოლოდ რაც შეეხება შენობის მოწყობილობას: სასცენო ფარდები, სკამები, ტანისამოსი და სხვა. ცხრაასი თუმნის საღირალ საკუთრებას შეადგენდა მესხისასა და გამრეკელისას და არ იყო დაზღვეული.

ნუ დავივიწყებთ, რომ თუ ჩვენ არ მივხედავთ ერმანეთს სხვისაგან არაფრის იმედი არ უნდა გვქონდეს...

კ. ბაქრაძე

## კორესპონდენცია

ქუთაისი. 12 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზედ, ზარების ძლიერმა რეკვამ გამოჰფინა ქუთათურები ქუჩაზედ. გამოვიდა თუ არა ხალხი, დიდად გაოცდა: შიგ შუა გულ ქალაქში ცეცხლის მორევი ტრიალებდა. გაჩქარებით მიმავალნი ერთი მეორეს ეკითხებოდნენ. „ეს რა ამბავია, რომ ასეთის სისწრაფით მოსდებია და გაძლიერებულა ამ ზომამდე ცეცხლი, ჯერ ხომ ხუთი წამიც არ გასულა, რაც დაიწყეს ზარის რეკვაო. მეც მათ შორის ვერიე და გულის ფანცქალით მივეშურებოდი ცეცხლისაკენ. მალე მოგვესმა საზარელი სიტყვა—თეატრი იწვისო. მით უფრო დამეკოდა გული, რომ გარშემო უბრალო ხალხის ბრბო გულ-გრილად მიეშურებოდა ამ სანახავისაკენ, და დარდი არა ჰქონდა, თეატრი იწოდა, თუ სხვა რამ შენობა.

„მაშ მათ გულს არაფერს ეუბნება ეს სიტყვა —ქართული თეატრი? ოჰ, რა ძნელია-მეთქი, ვამბობდი გუნებაში, გულისა და გრძნობის ამაღლება და განსპეტაკება". ამ ნაირის მწარე ფიქრებით მივუახლოვდი ბულვარს, რომლის შუაგული ეჭირა კოხტასა და შნოიანს თეატრის შენობას. ალი საშინლად მოსდებოდა იქვე გარშემო დარაჯად მდგარს წერწეტა ჭანდრის ხეებს.

ბულვარში გზები და ხეივნები გატენილი იყო ხალხით; მომეტებულ ნაწილად უბრალო ცნობის მოყვარეთ მოეყარათ თავი. აი აგერ ერთი გასიებული მიკიტანი ცბიერის ღიმილით უხსნის მაყურებელთა ჯგუფს, რას, ამბობ, კაცო, ხუთი ათას თუმნად არის შეტანილი „სტრახში".ცოტა მოშორებით მეორე ჯგუფია. აქ-კი ნამდვილი გულშემატკივარნი არიან. ბაასი იმის შესახებ არის, თუ რა დახმარება უნდა აღმოვუჩინოთ მე[ს]ხსა და გამრეკელსაო.

გავსცილდეთ ამ ჯგუფს და მივმართოთ იმ ადგილს, სადაც არიან მესხი და გამრეკელი. ამათზედ სულ სხვა ნაირად უმოქმედნია სტიქიონის სიბრაზეს. გამრეკელი თავისს გულს ასკდება, წიწმატობს, უნდა ვისმეზედ ამოიყაროს გულის ჯავრი და მზად არის, რადგან ნამდვილი დამნაშავე ვერ უპოვნია, მთელი საზოგადოება გახადოს, ან ერთი ნაწილი მაინც, პასუხის მგებლად. მესხი-კი გაფითრებულია და გალენჩებული, დანა კბილს არ უხსნის. ძლივს ვათქმევინეთ რამდენიმე სიტყვა გარემოების განსამარტებლად.

— როგორ მოხდა, რაიყო მიზეზი?. ვეკითხებით.

— არ ვიცით, ჯერაც ვერაფერი გამიგია. 7 საათზედ ყველა მოთამაშემ თავი მოვიყარეთ უკანასკნელად, რადგან ხვალ „პეპოს" წარმოდგენას ვაპირობდით. არ გასულა ნახევარ საათი, რომ ვიღამაც წამოიძახა, ცეცხლი გაჩნდა, მგონიაო: ავი ხედეთ ზევით და ამ დროს ნახევრად დამწვარი ფარდა სცენაზედ ჩამოვარდა ჩვენ წინ.

— ლამპარი იყო ზევით?

არა სანთელს ვხმარობდით.

— ავიდა ვინმე ზევით თქვენ მისვლის შემდეგ?

— როგორ არა. მეც აველ ერთხელ და სხვებიც დადიოდნენ, რადგან ,,კოსტიუმს‘‘ იქ ვინახავდით. მაგრამ ეს კი კარგად მახსოვს, რომ სანთელი გავაქრე, როცა ვბრუნდებოდი.

— მტრობა ხომ არავის ჰქონდა?

— არ ვიცი ვინ უნდა ყოფილიყო იმისთანა ურწმუნო, რომ ამ ნაირ ცეცხლში ჩავეგდეთ?

— დაზღვეული გქონდათ ავეჯი და მოწყობილება?

— არა.

— შენობა?

— ქალაქს ჰქონდა რვაას თუმნად „ლუზას" საზოგადოებაში დაზღვეული.

— რატომ თქვენც არ დააზღვევდით თქვენი ავეჯი?

— არ გვირჩია წინანდელმა ქალაქის მოურავმა ბ. ასათიანმა და ჩვენც ვიგრძენით ამ რჩევის საფუძვლიანობა. აბა ვის დავაჯერებდით ეხლა, რომ ჩვენი ხელით არ არის გაჩენილი ეს ცეცხლი, დაზღვეული რომ გვქონოდეს ჩვენი ნივთი?

— რა გაქვთ დახარჯული შენობის სასცენოდ მოწყობისა და სხვა და-სხვა ავეჯის შეძენისათვის?

— ყველაფერი რომ ვიანგარიშოთ, რვაას თუმნამდე გვაქვს ნახარჯი, რადგან ჩვენი საკუთარი ფული არა გვქონდა და ყველაფერს ნისიად ვიღებდით. ამ სამ წელიწადში სამასი თუმანი გავისტუმრეთ, მაგრამ ის რვაასი თუმანი ისევ თავნ-ვალად დარჩა.

ამ დროს იგრიალა სახურავმა და დაეშვა ძირს: ალი თითქო გაანჩხლებული ამდენის ხნის დაპატიმრებით, გიჟმაჟ ვეფხვივით შევარდა ზევით და სწვდა ხის წვერებს. ცეცხლის მქრობელი მანქანა დროიანად მოვიდა, მაგრამ რა უნდა გაეწყო თავისს სათამაშო საჭყეპელათი. ამ გაათრებულ ცეცხლის ქურასთან წყალი ცეცხლს ვერ ეკარებოდა, გზაზედვე ორთქლად იქცეოდა. ეკლარის ქვის მშვენიერ სვეტებს ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა. ორი საათის განმავალობაში ყველაფერი ფერფლად იქცა. შემდეგ წამოვიდა წვიმა და მთელი ღამე კოკის პირულად სწვიმდა. ბუნებამ იტვირთა და შეასრულა ცეცხლ საქრობ მანქანის მაგიერობა, მაგრამ ერთობ გვიან.

კ. ბ—ძე

## «ჩიორას» კრიტიკოსობის გამო*)

საზოგადოებაში ხშირათ გვესმის ის აზრი, რომ ავტორი თავისსავე კალამს, თავის თხზულებას არ უნდა გამოესარჩლოსო. არ არის საფუძვლიანი ეს აზრი, ნამეტურ ჩვენში, სადაც ცილისწამება ხშირათ იციან, ხოლო გამოსარჩლება და ვისიმე სიმართლის დაცვა კი თითქმის არაოდეს. მეც დღეს იძულებული ვარ—დავიცვა ჩემი თავი, რადგან ცილი დამწამეს. მე მოგახსენებთ „ჩიორას" ჩიორაობის გამო ჩემის ლექსის „ვემის-დალუპვა"-ს შესახებ.

ნუ იფიქრებ, მკითხველო, რომ მე ამ ლექსის ღირსებაზე დავიწყო საუბარი. ჩემთვის, როგორც ავტორისათვის, სრულიად საკმაოა იმისთანა მკითხველების აზრი, რომლებთანაც მე არავითარი დამოკიდებულება არა მაქვს, არც ავი და არც კარგი: მხოლოდ ამისთანა მკითხველებს შეუძლიათ მიუდგომელათ განსჯა ვისიმე თხზულებისა გინა მოქმედებისა. რაც შეეხება ჩიორას და „ივერიის" ზოგიერთს სხვა თანამშრომლებს, რომელთაც ჩემთან პირადი უკმაყოფილება და ცუდი განწყობილება აქვსთ, იმათი აზრი არც ჩემთვის არის საგულისხმო და არც სხვისთვის, გონიერ მკითხველისათვის. ჩიორები და „ივერიის" ზოგიერთი სხვა წევრნი თუ მას იფიქრებენ და იტყვიან ჩემს თხზულებებზე, ეს მე წინდაწინვე ვიცი: ისინი ამ შემთხვევაში მომაგონებენ საფრანგეთის დიდის რევოლიუციის დროის დეპუტატებს, რომელთაც წინდაწინვე გადაწყვეტილი ქონდათ ლუდოვიკო XVI-ის სიკვდილი და მხოლოდ ფორმისათვის მისცეს მას თავის გამართლების ნება. როცა მიუდგომელი შეგნებული მკითხველნი ცრემლებს ღვრიან ამა თუ იმ თხზულების წაკითხვის დროს, ჩიორები იმავე თხზულების საკიცხავათ და დასაცინავათ იღებენ კალამს ხელში!..

მაგრამ საქმე ის არის, თუ რამდენათ საფუძვლიანია ეს დაცინვა და გაკიცხვა. ჩიორას კრიტიკა მხოლოდ გრამატიკას შეეხება (განა ეს არის კრიტიკა?!) და ეს კრიტიკაც დამყარებულია სიცრუეზე და ენის განგებ დამახინჯებაზე.

სილოვანი ხან ხმარობს ზმნებში ს.ს და ხან არაო!.. ამდენი ხანია რედაქციაში ჩიორაობთ და ვერ გაიგეთ, რომ მართლ-წერა რედაქციის საქმეა, და არა თანამშრომელისა?!

სამწუხაროთ, ყველა, ვისაც ანაბანა უსწავლია და ორი სტრიქონი დაუწერია გაზეთში, დღეს ყველა ქართულ ენის ცოდნას ჩემულობს, და მათ შორის ჩიორაც ქართულ ენასა და გრამატიკას გვისწორებს!

ჩიორა ამბობს: ჩაცვივდა უნდა და არა ჩაცვინდაო. არის ორ-გვარი ზმნა: ჩაცვენა და ჩაცვივნა: პირველისაგან იქნება ნამყო ჩაცვინდა, მეორისაგან-კი ჩაცვივდა. ჩიორა ერთი იმათგანია, რომელთაც გონიათ კანონიერი მხოლოდ ის ფორმაა, რომელიც გარშემო ესმისთ, განსაკუთრებით ქართლსა და კახეთში, იმერეთში კი თურმე ყოველიფერი უკანონოთ იხმარება მათის აზრით!..

მე ვხმარობ: ,,თავს არ შურავდა‘‘; ჩიორა მისწორებს: ,,თავს არ იშურებდაო‘‘! ეს გახლავსთ ,,ჩემი შენ გითხარიო‘‘! თავს იშურებდა ნიშნავს თავს აჩქარებდაო, და აქ კი თავის დაზოგვაზე გახლავსთ ლაპარაკი. (ჩაიხედეთ ლექსიკონებში, ბატონო ჩიორა!).

მე ვხმარობ ჩაცივებაა (რედაქციას ვ შეცთომით გამოუშვია ერთ სიტყვაში, ან სხვა რამე მიზეზით, ეს მე არ ვიცი) და ორჯერ მაქვს ნახმარი ლექსის რითმებში; ეს უკვირს ჩიორას, ალბათ იმიტომ, რომ არ იცის ამ სიტყვის სხვა-და-სხვა მნიშვნელობა: ქვასავით ჩაცივებაა ხალხი ამბობს, როცა ხელს ჩასჭიდებენ ვისმე უსაშველოთ, და ჩაცივებიაო, ხალხივე ამბობს, იმ აზრით, ვითომ სიტყვით ან რაიმე საქმით მოსვენებას არ აძლევს, არ ეშვებაო.

*) ვბეჭდავთ ამ წერილს სრულიად ხელუხლებლად, თუმცა გვიკვირს-კი ჩვენ რად მოგვმართა ავტორმა, როდესაც შეძლო იმ გაზეთში დაებეჭდა იგი, რომელშიაც თითონ თანამშრომლობს. ამას წესიც მოითხოვდა და მართებულობაც. იქმნება ამითი მაინც დარწმუნდეს, რომ რედაქციას პირად იმის წინაალმდეგ არა აქვს-რა და თავისს თანამშრომელთა შორის არავინ ეგულება ისეთი, რომ იმასთან „პირადი უკმაყოფილება და ცუდი განწყობილება" რამ ჰქონოდეს. დანარჩენის შესახებ, თუ საჭიროდ დაინახავს პასუხს, თვით ჩვენი თანამშრომელი ჩიორა აგებს.

რედ.

---

საცმელი და სხვ. შემდეგ, როცა კოოპერაცია იმდენად გაიზრდება, რომ ხელსაყრელი შეიქმნება, თითონვე შეუდგეს საჭირო ნივთების გაკეთებას. კოოპერაცია გაჰმართავს თავისს სახელოსნოებს, გააშენებს ფერმებს, ააგებს სახლებს, გაჰმართავს ქარხნებს და სხვ. ამგვარად კოოპერაცია გაიზრდება, ხელს ჩაავლებს ყოველ გვარ შრომას, ადგილებს და თან-და-თან სრულიად მშვიდობიანად განაძევებს აწინდელ ვაჭრობის წეს-წყობილებას და ადგილ-მამულისა და მაშინების კერძო საკუთრებას. ამავე დროს კოოპერაცია შეძლებას მისცემს სინიდისიერს კაცს „ღვთისნიერად" იცხოვროს. გოლიდეის აზრი, რომელიც შედეგია სხვა-და-სხვა პრინციპების შეთანხმებისა, მეტად მოეწონა უოლლესს. უოლლესმა ეს აზრი დაწვრილებით განმარტა და წარსულ წლის 17 დეკემბერს წარუდგინა განსახილველად კონფერენციას, რომელიც კვირაობით „Brotherhood"-ის ეკკლესიაში იკრიბებოდა ხოლმე. კონფერენციამ დიდად მოიწონა აზრი უოლლესისა; იმანაც მოიწვია ამ საქმეში დასახმარებლად თავისი მეგობარი, ზემოხსენებულივე კენვორტი, და ორივენი ერთად შეუდგნენ საქმის განხორციელებას. კენვორტიმ შესწირა ამ საქმეს სრული თვისი მხნეობა და, ამას გარდა, რაც-კი შეგროვილი ფული ჰქონდა და ამა წლის 19 იანვარს კენვორტიმ და უოლლესმა მოაწერეს ხელი პირობას და დააარსეს საზოგადოება, რომელსაც სახელად ეწოდება „Brotherhoob Trist". საზოგადოების მზრუნველებად ამორჩეულ იქმნენ თვით უოლლესი და კენვორტი; მეორე დღესვე დაუნგემ-როდში, „Brotherhood"-ის ეკკლესიის მახლობლად დაარსებულ იქმნა პირველი საწყობი პურისა და საწვრილმანოსი. მას აქეთ აგერ ოთხ თვემდე გავიდა და ამ მცირე დროს განმავალობაში ამხანაგობამ უკვე დააარსა მეორე საწყობი, რომელშიაც მოიპოვება სამზარეულო და საოჯახო ნივთები. ამხანაგობა აკეთებს ავეჯს და ჰკერავს ფეხსაცმელს მთელ კოოპერაციისთვის. კოოპერაციას კვირაში უკვე 500 მანათამდე აქვს შესავალ-გასავალი და დამაარსებელთ სრული იმედი აქვთ, ჩვენი საქმე თანდათან გაძლიერდებაო.

ვისაც ჰსურს ამ საზოგადოების წევრად ჩაეწეროს, მხოლოდ საანგარიშო წიგნაკი უნდა იყიდოს ორ პენსად, მეტი არაფერი: მყიდველს არავითარი საწევრო ფული არ შეაქვს. ყოველ სამის თვის შემდეგ წიგნაკში სწერენ, რამდენი მოგება ერგება წევრს, იმის მიხედვით, რასაკვირველია, რამდენი საქონელიც უყიდნია კოოპერაციისაგან. მაგრამ ეს მოგება მყიდველის საკუთრებად არ ჩაითვლება და არასოდეს არც მიეცემა. ეს მოგება იწერება მხოლოდ იმისთვის, რომ წევრმა იცოდეს, რა მოგება აქვს და მომავალშიაც რა ერგება საზოგადოებისაგან. მოგება მიეცემა წევრს ან როგორც პენსია, ან როგორც დახმარება, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში-კი, თუ საზოგადოებას წმინდა მოგება დარჩა და გარდა ამისა რაოდენობა პენსიისა ან დახმარებისა არ უნდა აღემატებოდეს იმ რაოდენობას, რომელიც მოხსენებულია კოოპერაციის დებულებაში, ასე რომ, თუ საზოგადოებას წმინდა მოგება არ ექმნება, არავის არც პენსია მიეცემა და არც რამ დახმარება. მაგრამ კოოპერაციის დამაარსებელნი ამტკიცებენ, არ შეიძლება წმინდა მოგება არ დაგვრჩესო. მართლაც და „Brother hood Trist" ისე იქცევა, რომ მეტად ძნელია იზარალოს რამ. კოოპერაცია საქონელს ნაღდ ფულზედ ჰყიდის. იგი აარსებს სახელოსნოებს მხოლოდ მაშინ, როცა სახელოსნოს ნაწარმოებისა დიდი მოთხოვნილებაა. მაგალითად, კოოპერაცია მხოლოდ მაშინ გაჰმართავს თავისს საკუთარს ფურნეს, როცა ჰნახავს, რომ დღეს იმდენი პური იყიდება, რამდენსაც გამოაცხობს კარგად მოწყობილი ფურნე. აგრეთვე იგი იმ დრომდე არ გააკეთებს საკუთარს წისქვილს, ვიდრე არ დაინახავს, რომ ამ წისქვილში დაფქვილი ფქვილი სულ ჩვენ დაგვჭირდებაო. ერთის სიტყვით, ამ საზოგადოებას აღებ-მიცემობის გამორჩენა-კი არა აქვს აზრად, არამედ მხოლოდ იმასა სცდილობს, რომ დააკმაყოფილოს წევრთა მოთხოვნილება. როგორც ზევითვე ვსქვით, საზოგადოების მთელი შემოსავალი უნდა მოჰხმარდეს ხოლმე კოოპერაციის გაძლიერებას, ე. ი. უნდა დაარსდეს ხოლმე ახალ-ახალი საწყობები და სახელოსნონი და სხვ. ამ გვარად ამხანაგობის კასსაში შეუძლებელია მოგროვდეს ფული ან ფასიანი ქაღალდები. საზოგადოების თანხას შეადგენს უძრავი მამულები, იარაღი და სხვ., ასე რომ აქ არც დახლის გატაცება შეიძლება.

თავისს მუშათა შესახებ საზოგადოება იმ წესით ხელ-მძღვანელობს, რომ მის მუშებს იმის ნაკლები ფასი არ ეძლეოდეს, რაც მუშათა კავშირების (ტრეიდ-უნიონების) მიერ არის დადგენილი. აგრეთვე საქონელიც იმ ფირმებისაგან უნდა იყიდოს, რომელშიაც ეს სამუშაო ფასია მიღებული. როცა საზოგადოების აღებ-მიცემობა გაძლიერდება, მაშინ მუშებსაც მოუმატებს სამუშაო ფასს და, სულ ცოტა, სამ გირვანქა სტერლინგს დაუნიშნავს მუშებს; ამ ფულით რიგიანად იცხოვრებს მუშა-კაცი თავისის ოჯახობით. ჯერ-ჯერობით-კი ამხანაგობა კვირაში სამს გირვანქა სტერლინგზე მეტს არავის აძლევს.

უოლლესს პროვინციებშიაც ბევრი მიმბაძავი გამოუჩნდა და ამ გვარად ინგლისში შეუმჩნევლად არსდება სრულიად დამოუკიდებელი საზოგადოებანი, რომელთაც საფუძვლად აქვთ ქრისტეს მოძღვრება. ამ საზოგადოებათა დაარსება სწორედ რომ განხორციელებაა ინგლისელთა შორის გავრცელებულ ტოლსტოის მოძღვრებისა.

ბევრს ოხუნჯობს ჩიორა იმ სიტყვის შესახებ, რომელიც შეადგენს ჩემს ლექსში კორექტურულ შეცთომას; შეცთომით დაიბეჭდა თავსებას, დავსებას მაგიერ; ეს შეცთომა ლექსის დაბეჭდვის შემდეგსავე ნომერში გავასწორეთ, მაგრამ ჩიორებს განა ის უნდათ, რომ სიმართლე გაიგონ? იმათ მხოლოდ ის უნდათ, რომ ზოგიერთი გონება დახშული მკითხველი გაალიმონ უმარილო ოხუნჯობით, და ამიტომ, თუ რომ ვერ იპოვნეს, თვითონ შეთხზავენ კიდევაც იგინი შეცთომებს სხვის თხზულებებში, განსაკუთრებით იმისთანა ავტორთა თხზულებებში, რომლებთანაც მათ რაიმე უკმაყოფილება აქვსთ. აი, ამ შემთხვევაშიც ჩიორას არ მიუქცევია ყურადღება შეცთომის გასწორებისათვის და უხარია, რომ საოხუნჯო ადგილი უპოვნია.

„ჩვენ გულში გვენთო სიკვდილის ცეცხლი, და არ ფიქრობდა არვინ თავსებას“:—ვინც ამას გამოიცნობს, იმას ერთი გუდა ხაზილალა ჯილდოდ,—ოხუნჯობს „ივერიის“ სარისტიანი კრიტიკოსი; «რის თავსებას, ვის თავსებას, რომელ თავსებას?! „ალლაჰ ბილირ“-ო, ვითომდა ოხუნჯობს ეს ხუმარა ვაჟბატონი!

რატომ გაგიჭირდათ, ბ. ჩიორა, გადაგეთვალიერებიათ „კვალის“ შემდეგი ნომერი, სადაც იპოვნიდით ამ შეცთომის გასწორებას? იქ ნახავდით, რომ თავსებას კი არა, დავსებას უნდა ყოფილიყო, და მაშინ თქვენს ოხუნჯობას ფრთა შეეკვეცებოდა... განამც, იმიტომ არ მოიგონეთ ამ შეცთომის გასწორება, რომ მასალა არ შემოგაკლებოდათ თქვენის მკითხველების გასალიმებლად და თქვენის სატირიკულ ნიჭის გამოსაქვეყნებლათ!.. მართლაც და „ალლაჰ ბილირ“ თქვენს სატირიკობას!

სილოვან

# უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** საფრანგეთის გაზეთები ბევრსა სწერენ იმ სიტყვის შესახებ, რომელიც კავენიაკმა წარმოსთქვა კაგორში. აქამდე კავენიაკი მომხრე იყო ზომიერ კონსერვატორებისა; ეხლა-კი ეტყობა, რომ დემოკრატებს თანაუგრძნობს. თავისს სიტყვაში კავენიაკი შეეხო ფინანსთა მინისტრის ჰუანკარეს ახალს ბიუჯეტს და სთქვა: „რაოდენობის მიხედვით გაწერა გარდასახადისა სამკვიდროზედ, მართალია, არ წარმოადგენს იმ რეფორმას, რომელიც ჩვენა გვსურს; მაგრამ ეს პირველი ნაბიჯია წინააღმდეგ გარდასახადთა აწინდელ წეს-რიგისა, რომელიც შეადგენს ფიზიოკრატებთა მოძღვრებას და რომლის შესახებაც უსამართლოდ ამბობენ, საფრანგეთის რევოლიუციის შედეგიაო. რევოლიუციამ გამოაცხადა, ყველას შეძლებისა-და გვარად უნდა დავაკისროთ გარდასახადიო, მაშასადამე, დიდრონს მამულებს დიდი გარდასახადი უნდა დასწოლოდა. ამავე აზრისაა ფინანსთა მინისტრი მაშინ, როცა საქმე სამკვიდროს გარდასახადს შეეხება. მაგრამ, რაკი ეს აღიარა, აშკარაა, რომ ნახევარ მანძილზედ მეტი გამოიარა ჩვენსკენ. მხოლოდ ეს ვერ შეგვიგნია, როგორ შეუძლიან იმას, ვინც დასთანხმდა, რომ დიდს შეძლებას მისის პატრონის სიკვდილს შემდეგ დიდი გარდასახადი დავაწესოთო, არ დასთანხმდეს, რომ სიცოცხლის დროსაც დიდი შეძლებისა და შემოსავალის პატრონს მეტი გარდასახადი გამოვართვათ. ფინანსთა მინისტრი უკვე ერთხელ და სამუდამოდ დაადგა გზას შემოსავალის რაოდენობის მიხედვით გარდასახადის გაწერისას. თუ ფინანსთა მინისტრს ჰსურს შეიტყოს ნამდვილი მნიშვნელობა თავისს მოხსენებათა, ვურჩევთ მიაქციოს ყურადღება იმათ, ვინც მის ბიუჯეტსა ჰკიცხავს. მინისტრმა თავისს პროექტის ზომიერებით ვერ დაიჩუმა საფინანსო რეფორმის წინააღმდეგნი და ეხლა იმას უფრო ჰკიცხავენ, ვიდრე ჩვენ. იქმნება თავიანთის შეხედულებით მართალნიც იყვნენ, რადგანაც მინისტრმა თავისის პროექტით პირველი ნაბიჯი გადადგა აწინდელ საფინანსო სისტემის წინააღმდეგ. რაც შეეხება ჩვენ, სრულის ჩვენის ძალღონით ვეცდებით დავეხმარნეთ ამ საქმეში“.

კავენიაკს ამ სიტყვის გამო „Justice“ მ თანაგრძნობის წერილი უძღვნა. კლემანსოს კავენიაკი არ მიაჩნია რადიკალად, მაგრამ იმის აზრით, კავენიაკი ისეთი კაცია, რომლის მზგავსს იშვიათად შეხვდება ადამიანი საფრანგეთის ბურჟუაზიის წარმომადგენელთა შორის, რომელთაც კონსერვატიზმი ისე ესმით, რომ ყოველთვის წინააღმდეგობა უნდა გაუწიოთ სიმართლესაო.

—

**გერმანია.** ამ ბოლო დროს ბერლინში კვლავ გავრცელდა ხმა, რომ ვითომ პრუსიის სამინისტროსთან უთანხმოების გამო გერმანიის სახელმწიფო კანცლერი სამსახურს თავს ანებებსო. ამის გამო ძველის კანცლერის გაზეთი „Hamburger Nachrichten“-ში დაიბეჭდა ერთი შენიშვნა, რომლიდგანაც ნათლადა სჩანდა, რომ კანცლერის მდგომარეობა სამინისტროს ნდობაზედ არის დამოკიდებულიო, და რადგანაც სამინისტრო არავითარს ნდობას არ იჩენს კაპრივის შიმართ ამიტომ საჭიროა, რომ იმან თავისს თანამდებობას თავი დაანებოსო. კანცლერის გაზეთ. „Hamburger Nachrichten“ წინააღმდეგ ეგ მკაცრი წერილი დაბეჭდა, რომელიც გაკვრით ძველს კანცლერსაც შეეხებოდა. „Norddeutsche Zeitung“-ი ამბობს, რომ თავადი ბისმარკი, როდესაც სამსახურში იყო, სულ სხვა გვარად ეპყრობოდა ამ გვარ საკითხავებსა და ყოველთვის იმ აზრისა იყო, რომ კანცლერი მარტო იმპერატორისაგან უნდა იყოს დამოკიდებულიო.

ამ წერილის მიუხედავად გაზეთების უმეტესი ნაწილი იმ აზრისაა, რომ კაპრივი სამსახურიდგან გადადგებაო, მაგრამ იმპერატორი ამ თხოვნას არ შეიწყნარებსო.

—

საფრანგეთის მთავრობა სრულიად დარწმუნებულია, რომ, იმ პირობას რომელიც ტანანარივოში ლემირდე-ვილერმა წაიღო, გავასელები არ დასთანხმდებიან და ამიტომ ექსპედიციის მომზადების საქმეს საჩქაროდ შეუდგა.

ტულონიდგან, იუწყებიან, რომ სამხედრო ხომალდი „Du Petit Thouars“, რომელიც სამხედრო მასალით არის დატვირთული, მადაგასკარის წყლებზედ წავიდაო. თუ საჭიროებამ მოითხოვა, იქვე წავა სამხედრო ხომალდი „Laaperrouse“-ც ექსპედიციაში ათასამდის კაცი იქნება და გარდა ამისა მზად ეყოლებათ კიდევ 5,000 ჯარის კაცი. ექსპედიციის მმართველობას სამხედრო სამინისტრო იკისრებს და არა ახალშენთა სამინისტრო. ჯარებისა, სურსათის და იარაღის გადასაზიდავად მთავრობამ ორმოცი ხომალდი მოამზადა.

გარნა მტრული მოქმედება მარტო 1895 წელს დაიწყობა.

## სამეცნიერო ნაწილი

—

პროფესორის ვირხოვის აზრი ყელჭირვების ახალის წამალის შესახებ. გერმანიის სახელ-განთქმულს პროფესორს რუდოლფ ვირხოვს ლაპარაკი ჰქონია ბერლინის ერთის გაზეთის თანამშრომელთან ყელჭირვების ახალის წამლის შესახებ და აი რა უთქვამს:

„თქვენ გსურთ შეიტყოთ ჩემი აზრი ყელჭირვების ახალის წამლობის შესახებ? ამის თქმა მოკლედ არც თუ ადვილია. ჯერ ეს მითხარით: იცით თქვენ, რა არის სისხლის შრატი? ჰო? მაშ კარგი. მაშასადამე, ეხლა შემიძლიან ჯერ ის აგიხსნათ, რომ ახალი წამლობა ორ-გვარია: „ავადმყოფობის ასაცდენი“ და „მოსარჩენი“. პირველის წამალის გამოცდა, ჩემის ხელმძღვანელობით, მოახდინა ბერლინში ექიმმა აარონზონმა, ფრიდრიჰის საიმპერატორო სამკურნალოს ასისტენტად ნამყოფმა. აარონზონმა ეს წამალი გამოსცადა პირუტყვებზედ და დარწმუნდა, რომ იმას შესძლებია ყელჭირვების აცდენა. საჭირო იყო მხოლოდ ეს წამალი გამოეცადნა ყელჭირვებით ავადმყოფ ყმაწვილებზედ. ამისათვის ჩვენ საყმაწვილო სამკურნალოს ლაბარატორიაში მოამზადა ზემოხსენებული წამალი და იქვე სცადეს ავადმყოფებზედ. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ აარონზონის წამალს, რომელიც უფრო ძლიერ ჰმოქმედობს, ვიდრე პროფესორ ბერინგის წამალი, უფრო მეტად ჰხმარობდნენ, ვიდრე პროფესორ ბერინგისას, თუმცა ხანდახან ამ წამალსაც ჰხმარობდნენ. რაც შეეხება იმ სტატისტიკას, რომელიც ამტკიცებდა, ყელჭირვების ახალი წამალი მეტად სასარგებლო გამოდგაო, ჩვენ, ექიმებმა, ამ ამბავს დიდი ყურადღება არ მივაქციეთ, რადგანაც ვიცოდით, რომ ამ დროს ყელჭირვება ძლიერ არ იყო გავრცელებული და ამიტომაც მეტად ძნელი შესატყობი შეიქნა, მართლა ახალ წამლობის წყალობით იყო თუ არა ნაკლები ავადმყოფობა ყელჭირვებისა.

მიუხედავად ამისა, მე, ჩემის მხრივ ასეთის აზრისა ვარ: ეჭვს გარეშეა, რომ ამ წამალს თვისება აქვს უზრუნველ-ჰყოს ადამიანი ყელჭირვებისაგან რამდენისამე კვირისა, თვისა, შეიძლება სამის თვის განმავლობაშიაც. მაგრამ შეუძლიან თუ არა ამ წამალს უზრუნველ ჰყოს ადამიანი ამაზედ მომეტებულ ვადის განმავლობაში, ამას თვით დრო გვიჩვენებს. აგრედვე დროა საჭირო, რათა დავრწმუნდეთ, მართლა უებარია ყელჭირვების ახალი წამალი თუ არა. მაგრამ ისიც კარგი სიკეთეა, თუ ეს წამალი შეიძლებს უზრუნველ-ჰყოს ყელჭირვებისაგან ყმაწვილები იმ ოჯახში, სადაც ერთი მათგანი გახდება ავად ამ სენით. ჯერ-ჯერობით ამას მრავალი მაგალითი ამტკიცებს, რის გამოც უტყუვრად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ეს ახალი წამალი მართლა რომ მეტად სასარგებლოა ამ მხრივაო.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

პარიზიდგან იუწყებიან, რომ პასტერმა და ექიმმა რუმ გადასწყვიტეს საფრანგეთის პროვინციებში ყელჭირვების წამლის მოსამზადებლად განყოფილებანი არ დააარსონ, რადგანაც საჭირო თვალ-ყურის მგდებელი არ ეყოლებათ. დიდს პროვინციის ქალაქებში დაარსებული იქმნება საწყობები, რომელთაც ყელჭირვების წამალი პასტერის ინსტიტუტისაგან მიეცემათ. ამ ჟამად ინსტიტუტში ამ წამლის გასაკეთებლად 32 ცხენი ჰყავთ, მაგრამ იმედი აქვთ ამ სამის თვის განმავლობაში 130 ცხენის სისხლისაგან იმდენი წამალი გააკეთონ, რომ მთელს საფრანგეთს ეყოფაო.

**

ამერიკაში სამს დღეში ერთი ქალაქი აუშენებიათ. ეს ქალაქია პერრი სიტი. 5 თვეა, რაც არსებობს და უკვე 10,000 მცხოვრებელი ჰყავს. უველაზედ დიდი სახლი გაზეთის „Perry Daily Times“-ის შენობაა. გაზეთი პირველადვე 10,000 ეგზემპლიარი დაიბეჭდა. შემდეგ აშენდა ბანკი, მერე რამდენიმე დუქანი და ერთი დიდი სასტუმრო, მაღაზიები და ექიმებისა და ვექილების სახლები. მესამე დღეს დილით, ფოსტის კანტორა გაიღო და მოქმედებაც დაიწყო. არა ჰგვანან ამერიკელები ქართველებს, რომელნიც ასის წლის წინ ერთს წიგნთ საცავს ძლივს დააარსებენ ხოლმე და იმასაც დიდის განგაშითა და ზეიმით აცხადებენ.

## გამოსადეგი ცნობა

—

თევზის ქონის ადვილად დასალევი საშუალება. ყველა ავადმყოფს არ შეუძლიან თევზის ქონის ადვილად დალევა, რადგან სამაგელი გემოსია და სუნისა. ფრანგულ ჟურნალ „Médecine moderne“-ში ნაჩვენებია საშუალება, რომლის შემწეობითაც ძალიან ადვილად დაილევა ეს წამალი. უნდა აურიოთ ერთმანეთში თანაბარი წონა თევზის ქონი და კირის წყალი, როგორსაც აფთიაქებში ჰხმარობენ. ეს ერთმანეთში არეული რძის ფერი გახდება და აღარც სუნი ექმნება. ამას დაუმატეთ ანანასის ან ლიმონის ესსენცია. ამ რიგად შეზავებული თევზის ქონი ადვილი დასალევია, რადგან სამაგელი გემო და სუნი ეკარგება.

ეს წამალი დიდხანს ინახება და კისაც სუსტი კუჭი აქვს, იმასაც კი შეუძლიან დალიოს. მხოლოდ უპჭველად-კი საჭიროა ის კირის წყალი გაურიოთ, რომელსაც აფთიაქში ჰხმარობენ.

# დეპეშა

15 ოკტომბერი

**ლონდონი.** მეღანეთა ნადიმზე შეფილდში ლორდმა როზბერიმ წარმოსთქვა: „ვინც იცის ევროპის ისტორია ამ 12 წლის განმავლობაში იგი იცისავე უსაზღვრო მადლობას გრძნობს რუსეთის ხელმწიფისადმი, როგორც ჩვენ. ამ პყრობელის დროშაზე სწერია შეურყეველი პატივისცემა სიმართლისა და მშვიდობიანობისა. თუ ევროპა სტკბებოდა უკანასკნელ 12 წლის განმავლობაში მშვიდობიანობით, ეს აიხსნება, უფრო რუსეთის ხელმწიფის ხასიათით, ვიდრე სხვა რომელისამე მიზეზითა.

**ბერლინი.** დღეს, 11 საათზე რუსეთის ელჩის ეკლესიაში გარდახდილ იქნა პარაკლისი ხელმწიფე იმპერატორის განკურნებისთვის. პარაკლისს დაესწრო იმპერატორი ვილჰელმი.

იმპერიის კანცლერმა გააუქმა ის დადგენილება 1889 წლისა, რომლის ძალით რუსის ფასიან ქაღალდებს სახელმწიფო ბანკი გირაოდ არ იღებდა.

**პეტერბურგი.** პირად იმპერატორის ვილჰელმის ბრძანებით ბერლინში ამიერიდან რუსეთის ფასიან ქაღალდებს მიიღებენ გირაოდ. „ვაჭრობისა და მრეწველობის“ გაზეთის აზრით ეს განკარგულება ამტკიცებს იმას, რომ გერმანიის მთავრობას სურს გამოუცხადოს ნდობა რუსეთის კრედიტს, მაშინ როდესაც რუსეთის ხალხი ღრმა მწუხარებით არის მოცული. პირიზის ბირჟა-კი ისარგებლა რუსეთისთვის ამ სამწუხარო დროთი და საშინელი, ალვირ-წახსნილი თამაში გაჰმართა რუსეთის ქაღალდებისა.

პეტერბურგის ბირჟა, 14 ოქტომბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,49 | 7,52 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 149½ | 150¼ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 236 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 216 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 190 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | — ,, | — ,, | 101½ |
| 5% . . . . . . | — ,, | — , | 100 |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | — ,, | 101½ |
| 5%. . . . . . . | — ,, | — ,, | 100 |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | 98 ,, | — ,, |


# განცხადებანი

კბილის ექიმი
**ვ. ი. ჭიჭინაძე**
(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდგან, ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

რთულის ოპერაციის დროს დაესწრება ექიმი ი. ს. ელიაშვილი.
(50—6.—14)

**ცხოვრება**
დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა
თარგმნილი
მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი
**ფასი ერთი შაური**
ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.


Дозволено цензурою Тифлисъ, 15-го Октября 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.